

ბოჩა თამაშის აღწერილობა*

„ბოჩა - პარალიმპიური სპორტის სახეობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად“

ერასმუს + სპორტული პროგრამა „კოლაბორაციული პარტნიორობა“ პროექტი 556971-EPP -1-2014-1-PL -SPO-SCP



BOCCIA

BOCCIA - Enhancing the quality of life of people with disabilities and their environment through Paralympic sport Boccia



Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union



start
POZNAŃ

ბოჩას შექმნის ისტორია

როდესაც გიფიქრიათ საიდან მოდის სახელი ბოჩა? მას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს, რომელიც ლათინური სიტყვა "Bottia"-დან მოდის, რაც ბურთს ნიშნავს და წარმოითქმის როგორც „ბო-ჩა“ .

თავაშს, რომელიც დიდი ხნის წინ რომში დააარსდა, საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს. ის 1980 წელს გამოიგონეს, როდესაც ევროპის ქვეყნები მიხვდნენ, რომ მათ ბევრი ათლეტი ჰყავდათ, რომლებსაც არ შეეძლოთ ისეთი სპორტით დაკავება, როგორც არის ცურვა, სირბილი და სხვა ისეთი თამაში, რომელსაც სჭირდება პლასტიური მოძრაობები და ძლიერი კუნთის ტონუსი. საბედნიეროდ, ბოჩა გამოიგონეს სწორედ იმისთვის, რომ იმ ათლეტებს, ვისაც თამაშის საშუალება არ ჰქონდა, მიეღო მასში მონაწილეობა. ბოჩა პარალიმპიური სპორტის სახეობა 1984 წელს გახდა. მას დღესდღეობით 50 ქვეყანაში თამაშობენ.

მაინც რა არის ბოჩა

ბოჩა არის საშუალება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აძლევს აქტიური ცხოვრების საშუალებას, აუმჯობესებს მათი ცხოვრების ხარისხსა და საზოგადოებაში ჩართულობას. ბოჩას თამაში ყველას შეუძლია, მგზავს, მიუხედავად ამისა, მან ყველაზე დიდი პოპულარობა ყველაზე მძიმე ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებში მოიპოვა (ცერებრული დაზიანება ან ისეთი შეზღუდვა, რომლის გამოც ადამიანი ეძლიერება გადაადგილდება). ბოჩას თამაში აქტიურებს როგორც სხეულს, ასევე ტვინს და სპორტულ თერაპიას უწევს მასში ჩართულ ადამიანს. ის საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და შეზღუდვის არმქონე პირებს, გაიხსნონ ერთმანეთი, მოახდინონ ინტერაქცია საზოგადოებაში, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობებში, სკოლებში, სარეაბილიტაციო ცენტრებში ან საერთოდ სახლში და უახლოეს თემში.

ბოჩა არის პარალიმპიური სპორტის სახეობა, რომელიც ავითარებს კუნთებსა და სიფხვინს. მოთამაშეები ისვრიან ბურთს, რათა ახლოს მოახვიდნენ სამიზნე ბურთთან. ბურთი შეიძლება ისროლო, ფეხი მიარტყა ან გააგროო. თუ მოთამაშეს არ შეუძლია ბურთის არც გაგროვება, არც სროლა, მას აქვს უფლება გამოიყენოს დახმარება პანდუსი. თუ მოთამაშეს არ შეუძლია დამოუკიდებლად ბურთის სროლა, მას შეუძლია გამოიყენოს დახმარება მოწყობილობა - თავისა ან ხელის საშუალებით. ორი მხარე ეჭივრება ერთმანეთს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე წყვილებში და გუნდურად. ორივე მხარეს აქვს 6 ბურთი (წითელი და ლურჯი) და თამაშის განმავლობაში ცდილობს ამ ბურთებით მოიპოვოს ქულა. ყველა რაუნდის შემდეგ ხდება ქულების დათვლა, რის შემდეგაც ითვლება საბოლოო ანგარიში. მოედნის ზომებია: 12.5 მ x 6 მ.

მარტივად ჰქვარს, არა? როდესაც დაიწყებ თამაშს, მისი ტექნიკა იძლევა აღფრთოვანებისა და დაკმაყოფილების საშუალებას.

კლასიფიკაცია

მოთამაშეები ნაწილდებიან 4 კატეგორიაში მათი უნარებისა და ფუნქციური შესაძლებლობების მიხედვით.

BC 1

ამ კატეგორიის მოთამაშეები ბურთს ხელით ან ფეხით ისვრიან. მათ შეუძლიათ, ისარგებლონ ასისტენტის დახმარებით, რომელიც სათამაშო უჯრის გარეთ დგას და ეხმარება მოთამაშეს ბურთის მიწოდებაში ან სკამის გასწორებაში.



BC 2

ამ კატეგორიის მოთამაშეები ბურთს ხელით ისვრიან. მათ არ აქვთ ასისტენტის გამოყენების უფლება.





BC 3

ამ კატეგორიის მოთამაშეებს აქვთ ოთხივე კიდურის დისფუნქცია. ამ კატეგორიის მოთამაშეებს არ შეუძლიათ ბურთის სროლა, მათ შეუძლიათ მხარის მოძრაობა, თუმცა, ბურთის სროლისათვის საჭირო მოძრაობის შესრულება არ შეუძლიათ. მათ აქვთ უფლება, ასისტენტთან ერთად გამოიყენონ ისეთი დამხმარე მოწყობილობა, როგორც არის პანდუსი. ასისტენტი აუცილებლად გურგით უნდა იდგას მოედნისკენ.



BC 4

ამ კატეგორიის მოთამაშეებს ოთხივე კიდურის დისფუნქციასთან ერთად ახასიათებთ წელის სუსტი კონტროლი. მათ აქვთ იმის საკმარისი უნარი, რომ ბურთი ისროლონ მოედანზე, მაგრამ არ აქვთ ასისტენტის გამოყენების უფლება.


შეჯიბრების სახეობები

- ინდივიდუალური (ყველა) – ორი ერთნაირი კატეგორიის წარმომადგენელი მოთამაშე ხვდება ერთმანეთს, სადაც ისინი 6 რაუნდს თამაშობენ.
- გუნდური (BC1 და BC2 ერთად) – გუნდში არის 3 მოთამაშე, მათ შორის 1 BC1-ის წარმომადგენელია. ყველა მოთამაშეს 2 ბურთი აქვს და ისინი 6 რაუნდს თამაშობენ.
- წყვილი (BC3) – ორი მოთამაშე ორივე მხარეს ხვდება ერთმანეთს. ისინი 4 რაუნდს თამაშობენ და თითოეულს 3 ბურთი აქვს.
- წყვილი (BC4) – ორი მოთამაშე ორივე მხარეს ხვდება ერთმანეთს. ისინი 4 რაუნდს თამაშობენ და თითოეულს 3 ბურთი აქვს.

მოედანი და აღჭურვილობები

მოედანი

მოედნის გადავიერი უნდა იყოს სწორი და გლუვი (მაგალითად: გააკრიალებული ბეტონის, ხის, ბუნებრივი ან სინთეტიკური რეზინის). გადავიერი უნდა იყოს სუფთა. მოედნის ზომა: 12.5 მ x 6 მ, სადაც 6 სასროლი უჭრა იქნება გამოყოფილი. ყველაწიერი გაზომვა ხდება მოედნის ხაზის შიგნიდან.



აღჭურვილობა



source: handlifespport.com

ბოგას სათამაშო კოვზლექტი შედგება 6 წითელი, 6 ლურჯი და 1 თეთრი ბურთისგან. ბოგას ბურთები, რომლებსაც იყენებენ შეჯიბრების დროს, უნდა ერგებოდეს BISfed-ის მიერ დადგენილ სტანდარტებს.

დამხმარე მოწყობილობა, რომელიც არის პანდუსი და კურსორი BC3 კატეგორიისთვის.



მოთამაშეთა ებლი უნდა იყოს, რაც შეიძლება, სტა


ძირითადი პრინციპები

- თამაშის მთავარი მიზანია, რაც შეიძლება ახლოს მოხვდეს წითელი და ლურჯი ბურთები თეთრ ბურთთან. ყველა მოთამაშე, წყვილი თუ გუნდი, იღებს 6 ბურთს ერთ რაუნდში.
- ყველაზე მნიშვნელოვანი წესები:
- ყველა მოთამაშე უნდა იჯდეს თამაშის დროს;
- ყველა თამაში შედგება რაუნდებისგან;
- ინდივიდუალური & წყვილები = 4 რაუნდი
- გუნდური = 6 რაუნდი
- რაუნდი შედგება 13 სროლისგან (6 წითელი, 6 ლურჯი და 1 თეთრი ბურთი);
- მონების აგდების (გათამაშების) შემდეგ მოგებული მოთამაშე ან გუნდის კაპიტანი ირჩევს რომელი ფერის ბურთით იწყებს თამაშს;
- ორივე მხარე უნდა დაიკავოს სასროლი უჭრა მოედანზე, საიდანაც უნდა მოხდეს ბურთის სროლა;
- წითელი ბურთის მქონე მხარე იწყებს თამაშს თეთრი ბურთის მოედანზე სროლით;
- წყვილებს შორის ან გუნდური თამაშისას ყველა მოთამაშე რიგრიგობით ისვრის თეთრ ბურთს მოედანზე;
- დამხმარე მოწყობილობა, როგორც არის პანდუსი და კურსორი BC3 კაბეგორიისთვის.
- ინდივიდუალური თამაშისას თითოეული მოთამაშე ორჯერ ისვრის თეთრ ბურთს;
- მოთამაშე, რომელიც ხსნის რაუნდს თეთრი ბურთით, ისვრის პირველ ბურთსაც;
- შემდეგ ბურთს ისვრის მოწინააღმდეგე;
- ის მხარე, რომლის ბურთიც უფრო შორს არის თეთრ ბურთთან, ისვრის ბურთებს მანამ, სანამ მოწინააღმდეგევე მეტად არ მიუახლოვება ბურთს თეთრ ბურთს, ან სანამ არ ამოეწურება ბურთების რაოდენობა;
- რაუნდი დასრულებულია, როდესაც ორივე მხარეს ამოეწურება ბურთები;
- გამარჯვებულ მხარეს ყოველ 1 ბურთზე, რომელიც უფრო ახლოს არის თეთრ ბურთთან, ვიდრე მოწინააღმდეგის ბურთი, ეწერება 1 ქულა;
- ქულები ყოველი რაუნდის ბოლოს ითვლება და გროვდება საბოლოო ანგარიშამდე;
- საბოლოო ანგარიშის გამოცხადება ხდება მსაჯის მიერ.

Paralympic Boccia

Believed to have Ancient Greek origins, this is a tactical target sport played by individuals in wheelchairs. The games are played in pairs or as individuals.

The sport is similar to boules or petanque.



Source: <http://i.telegraph.co.uk>

The aim

To get the ball closest to the jack over a series of ends.

Field of Play

The court consist of six throwing boxes behind a throwing line to the court

Special Rules

Balls propelled by rolling, throwing of kicking. If a player is unable to throw or kick it, they can use a ramp and where necessary assistance is allowed for passing balls or positioning the ramp prior to a play.

Scoring



International rules



www.bisfed.com/about-boccia/rules/

Play with us:



პითხვების ან დამატებითი ინფორმაციის
საჭიროების შემთხვევაში მოგვმართეთ:
საქართველოს ბოკიას ფედერაცია – Geo-
rgian Boccia Federation მისამართი: კედიას
ქ. 7, 0154, თბილისი, საქართველო ელ-
ფოსტა: georgiabocciafd@gmail.com ტელ:
(99532) 2 35 66 09; (995) 593 13 32 07; (995)
599 64 87 68

ითამაშე ბოკია – გაერთე და იყავი კმაყოფილი!



BOCCIA

BOCCIA - Enhancing the quality of
life of people with disabilities and
their environment through Para-
lympic sport Boccia



Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



www.facebook.com/erasmusBoccia

www.polskaboccia.pl/boccia-eu

BOCCIA - Enhancing the quality of life of people with
disabilities
and their environment through Paralympic sport Boccia

Erasmus + Sport Programme Collaborative Partnerships
Project 556971-EPP-1-2014-1-PL-SPO-SCP

„ბოკია – პარალიმპიური სპორტის სახეობა შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების ხარისხის
გასაუმჯობესებლად“

ერასმუს + სპორტული პროგრამა „კოლაბორაციული
პარტნიორობა“
პროექტი 556971 –EPP EPP-1-2014 –1-PL –SPO –SCPSCPCP

* This publication reflects the views only of the
author, and the Commission cannot be held
responsible for any use which may be made of the
information contained therein.